


ს
ა
ლ



ქართული ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

შინაარსი
ფ ა რ ი ლ ე ბ ი.

შ. ქარუმიძე, ჩვენი ომები და ჩვენი დიპლომატია.
ივ. კახუხიანი პრეზიდენტი.

ც ნ მ ბ ბ ა

სვანეთის საჯაროება
რევიზიის შედეგი

უკანასკნელი ცნობები (კვირის ტელეგრამები
და ამბები) მესამე გვერდზე.

ჩვენი ომები და ჩვენი დიპლომატია.

საქართველოს მხედრობა სამხრეთით ძველ არტა-
ანში შევიდა და ჩრდილოეთ-დასავლეთით მან ძველი
გაგრის ყელი დატოვა.

ქართულმა მხედრობამ მოგვცა გამარჯვება, ურო-
ლისთანაც თვით საქართველოს მოლიანი და სუვე-
რენული არსებობა შეუძლებელი იყო. ძველად ჩვენ
ნაციონალისტები პროგრამას რომ ვწერდით და
საქართველოს საზღვრებს რომ ვსახავდით — ჩვენ ვი-
ცოდით, რომ ვწერთ ისეთ რამეს, უროლისთანაც
თანამედროვე ხანაში — ჩვენის მეურნეობით, ჩვენი
კულტურით, ჩვენი მეზობლებით და ჩვენის ფიზი-
კურის ძალით-ვერს იარსებებს საქართველო, წარსუ-
ლით და მომავლით. ჩვენ მაშინ ისიც ვიცოდით,
რომ ყოველივე ქართული საზოგადოებრივი ძალა,
ეინც უნდა ყოფილიყო ის — ძმობითვე ნაციონა-
ლისტი თუ იმთავითვე ინტერნაციონალისტი — ვისაც
კი ბედი საქართველოს აღშენების საქმეს ჩაუვადებდა
ხელში, — იძულებული იქნებოდა დამორჩილებოდა
ამ უძლიერეს და გადამჭრელ ფაქტორს და უპირვე-
ლესათ ყოველისა საქართველოს მიწა წყლის გამოთ-
ვლებაზე ეზრუნა და მისი ატყობის და დღევანდ-
ლობის უზრუნველყოფელი საზღვრები შეეხსნა.

ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი მაშინდელი დავა
ისტორიულ საზღვრებზე, ანუ „ძველ საფლავებზე“
და მამა-პაპათა ჩონჩხებზე, როგორც დავცინოდნენ
მაშინდელი ჩვენი მოწინააღმდეგენი, ისეთი ხასიათის
დავა იყო, რომლის გაუნაღლებლად ქართველი ვერ
გვადგებოდა ვერც თავის ადგილზე სულის
კვებობას, ვერც თავის ამოძრავებულ მაჯის ცემას.

ასეთია, დღეს ყველასათვის აუცილებელი ნაცი-
ონალიზმი ცხად ჰყოფს არტანისა და გაგრის აღე-
ბის მოტივსაც. ამ ნაციონალიზმისათვის ეს მოტივი
სხვა არის და კარგა მანძილი განიჭებდა იმ მოტი-
ვისაგან, რომელზედაც ლაპარაკი იყო დამუხუნებელ
კრებზედ როგორც მინისტრის ისე დამუხუნებელ
სიტყვებში.

ქართული მხევილი შევიდა არტანისა და გა-
გრაში უმთავრესათ საქართველოს სიცოცხლისათვის
გარდუვლი მოთხოვნის კარნახით. და მოიმოქმე-
დებდა ასე ყველა შემთხვევაში, ვის ხელშიც არ
უნდა ყოფილიყო გაგრა და არტანი — სერვერ-ბე-
დენიკინისა თუ მოსკოლის სტრეკოვისა.
სახელმწიფო კარ-ბეჭეა ვადამეცხა უცხოთა ხელში,
ეინც უნდა იყოს იგი რეპუბლიკური იქნება თუ
ღრმად პროგრესული — ვერ შეუძლებოდა ძალა
ეროვნული სახელმწიფოსი. ასეთია — მისი არსებობის
კანონი.

ამ დედაკანონის აღსარულად ყოველ ერს
თავის საკუთარი სისტემა აქვს, რომლის — არც
გადმორჩევა, არც სესხება შეიძლება სხვისაგან.
აგერ წელიწადი ტრიალდება ჩვენი დამოუკიდებელი
არსებობისა და ყველასათვის აშკარა რომ სწორედ
ეს გახლავთ მთავარი ხაზი ჩვენი მოქმედებისა და
იწირავს იგი ქართველი ხალხის ენერჯის უდიდეს
ნაწილს.

ასეც იქნება და არც დამუხუნებდა ეს აზღვა-
ვებული ენერჯია მანამდის, სანამ არ ჰპოვებს თავის
კალაპატს და საიმედო ნაცნობს საზღვრებს.

ეს ყველა უნდა ვიცოდეთ და განსაკუთრებით
კი გარეშე საქმეთა სამინისტრომ, რომლის კურსი
სრულია, თითქოს განზრახი თვალის დახუჭვა ასეთი
ძლიერი მოვლენის წინაშე და რომელიც მეტათ
ძვირად უჯდება ქართველ ხალხს.

ამის წყალობა გახლავთ, რომ განვილილი წე-
ლიწადი სასვე ქართველი მხედრობის გამარჯვებით

სასვე ქართული დიპლომატიის დამარცხებით.

პირველი ნაბიჯი ჩვენი ახალგაზრდა ლაშქრისა
თბილისზე ძველი კრწანისით მოზიდული თურქთა
მუქარის მოშორება იყო.

გერმანელების თანაგრძობით ეს მუქარა ხრამ-
თან და სანაინის ვიწროვითან გმირულის ბრძოლით
ჩვენმა მხედრობამ წაიღო და ისტორიულს და საუ-
კეთესო სტრატეგიულს საზღვარს ჯაპუვს იქით
გადასტურებდა. დიპლომატიამ უკან დაიხია და
გამარჯვებული ჯარი ისეთ ხაზზე და ისეთ პირო-
ბებში ჩაყენდა, რომ თათრების დანისაგან ჩვენგან
დახსნილობა სომხობამ ვერაფერ ამბობდა მოგვიწყო
ზურგში და ომით მოგვეწვა.

იქამდის უცხო ერთი ერთმანეთისათვის გამო-
გენ ქართულ ეროვნულ ტრადიციით, სისტემით და
ეროვნული მიზნით მოქმედი ქართველი მხედრობა
და ინტერნაციონალიზმის შებენში ნაზარდი ქარ-
თული დიპლომატია, რომ როდესაც ჯარი სისლი-
დამ იწირებოდა დიპლომატია ქვეყანას არწმუნებდა,
ომი არ არის!

ბორჩალოს გამარჯვება — დიპლომატიამ სომხე-
ბთან ცნობილი ხელშეკრულებით დაავიკრავინა,
რომელიც უმოწყალო გათელავა ქართული ინტე-
რესებისა. ჩვენ არ ვიცით რა უნდა წავლავთ სომ-
ხებს მეტი იმ შემთხვევაშიც, რომ მათი, არამტულ
დამარცხება, დაბრუნება სანდარ-დურსუკიდან ჩვენ
ვერ მოგვეხერხებინა?

ამ გვეგვიკარის მურკლიანი ფაფის მონღება
ადვილი არ იქნება, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მის
ვერ შეურიგდება ვერც ჩვენი სახელმწიფოებრივი
არსებობა, ვერც ის თელაველ-სინდარელი ვაქა-
ცები ძველს არტანს რომ ხიშტით სწმენდენ და
ვერც ხიშტიაში — ჩოლოყაშვილის ცენოსანი დი-
ვიზია ხმალს რომ აეღვებს გაგრის იქით.

ნურავის ჰგონია რომ ეს ხალხი მარტო იმი-
ტომ იბრძვის, რომ მიწის დეკრეტს პატივი სცენ და
ბეგებისაგან ჩამორთმეული მიწა იქარ სომხობას
და თათრობას, რომელსაც ფაქტურად იგი ებრძვის
დაურთავს. და ან ჩვენს მინისტრებს საშუალება
მისცეს, კლიმატიური სადგურებისაკენ გასივრებისა,
ეს ხალხი თუ ასე სასიკადალოდ საქართველოს
გამთვლებისათვის ომობს — ვის დანებებს თავის სა-
კუთარს კარმიდამოს და ილაღს — ბორჩალოს?

ვისი რა ბრალია, რომ ბ-ნი გვეგვიკარი და
მთელი მისი პარტია ისე აღიზარდენ, რომ ვერ შეი-
გნეს რა არის ბორჩალო, უროლისთანაც ჩვენი
ქვეყანა და განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქარ-
თველო უმიწაწყო, უსასხრო და მრავალ უსია-
მოგნობისაგან დაუზღვეველი ოჯახია.

ბორჩალოს შემდეგ შინაური საქმიანობაც გვახ-
სოვს. ოსების აჯანყება ჯარმა ჩააქრა. ჩვენმა დიპ-
ლომატიამ და პოლიტიკამ ისე გამოიყენა ეს ამბავი,
რომ როკი და მამისონი დღესაც შეუკრავია და
ოსები სახელმწიფოში სახელმწიფოს გვიარსებენ.

სტეფანწმინდელს და გერმანელებს რომ
თავი არ გამოეცდოთ — დარიალი ესლაც ღია გვექმე-
ბოდა და ჯარის გამარჯვება ბოლშევიკებზე ტყუილი
სისხლის ღერა იქნებოდა. დღეს ვაი თუ გენ. კვინი-
ტაძის და გედევანიშვილ-ჯუღელის გამარჯვებას ისე
მოუარონ როგორც მოუარეს ერთხელ გენ. მაყა-
შვილის და გენ. მაზნიაშვილის გამარჯვებებს...
ღვთის მადლით ღერა რუხაძენი და ისიდ. რამიშვი-
ლები ბლომად ჰყავთ ამ ხალხს და საქართველოც
ხომ ისეთ „უდელად“ მიაჩნათ, საცა ყველა „გან-
საკუთრებულ რწმუნებულს“ უნდა ჰქონდეს საუფლის-
წყოლო და საბატონო პროვინცია. ასეთი ვითარების
გაგრძელება შეუძლებელია. ერთი ხელით ნგრევა
იმისა, რასაც აშენებს მეორე ხელი მოუწევლებელი
დანაშაული იქნება.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს დღეს — რო-
დესაც ბ-ნი გვეგვიკარი მასპინძლობს ამიერ-კავკა-
სიის ერთა კონფერენციაზედ. ეს პოლიტიკა დიპ-
ლომატიისა კონფერენციაზედ აუნაზღაურებელ და
გამოუსწორებელს ზიანს მოგვყენებს. ერთი წლის

წარსულმა სრულიად აშკარა გახადა ერის ის მისწრა-
ფებანი, რომელზედაც უარს ვერ იტყვის ერთი და
ნურავინ გადაელობება წინ. ნურც გარეშე საქმეთა
მინისტრი იქნება თვალდახუჭული მის წინაშე! ქარ-
თველმა მხედრობამ თავისი სისტემატიური თავგან-
წირვით აღსნა მხუთავი არტანები საქართველოს და
მიაქვს საზღვრებამდე, რომელიც მისთვის ისტორიას
დაულოცნია და მრავალთაობათა უხვთ დანთხელს
სისხლს ხელმეუბნებელი უფლება უდავო საკუთრე-
ბისა აღუგია. პირაქეთ ამ საზღვრებამდე უდავო
მფლობელობა საქართველოსი, პირაქით სიმპატია
და პატივისცემა მეზობლებს.

ქართველმა მხედრობამ იბრძოლა როგორც
ბოლშევიკურ, ისე დენიკინელ (ძველ) რუსეთთან
და ამით მან საბოლოო ღიადუკო საქართველოს
დამოკიდებულთა რუსეთზედ.

აპრილის 15 თვლისის საოლო სასამართლოს მე-
რე სისხლის სამართლის განყოფილებაში, ბ-ნი კობიაშვი-
ლის თავმჯდომარეობით გახუთ „კლდის“ წინააღმდეგ ივ.
კახუხიანის მიერ აღძრულ საქმე გაიჩინა.

პროკურსთი ბუკრი ვინაყე დანტრესდა და ხალხი
თავიდანვე ბლომით ესწრებოდა.

საქმე შემდეგში მდგომარეობდა:
1918 წლის გახუთ „კლდის“ მერვე ნომერში მო-
თავსებული იყო ორი ცნობა: „კახუხიანის ბედი“ და ბა-
გრატიონ დავითაშვილების საქმე, რომლებშიც ხაზ-
გასმით აღნიშნული იყო არა კეთილსინდისიერება ივ. კა-
ხუხიანისა, მისი საპასუხისმგებლო ადგილების ქვრის დროს.

პირველ ცნობაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო:
„ივანე კახუხიანი დაიბრუნდა მეტროპოლიტისთვის: კა-
ხუხიანი აშგარევე საქმეებით. ცნობილი იყო აგრეთვე
მაშინ, როდესაც იმყოფებოდა მილიციის უფროსად თფი-
ლისში და გუბერნატორად ქუთაისში“.

ცნობა ბაგრატიონ-დავითაშვილების პროკოპაციისა
კი ასე თავდებოდა: „აგრე დასრულდა საქმე ვითომდა შა-
რაზმელთა ორგანიზაციისა, პროკოპაციულად შექმნილი
სახელგანთქმულ კახუხიანის მიერ“.

აი, ამ ორი ცნობის გამო ივანე კახუხიანმა, თითქოს
ცილის წამებისათვის, სამართალში მისცა გახუთ „კლდის“
რედაქტორი ბ-ნი გრიგოლ ვეშაპელი და სასჯელთა დე-
პუტების 15მან მუხ. მეორე ნაწილის ძალით რედაქტორის
დასჯა მოითხოვა.

ივ. კახუხიანმა თავის საჩივარში მოწმეობათ, სხვათა
შორის, დაასახელა: საქართველოს უმაღლესი წარმომადგე-
ნელი ნოე ჯორდანიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე
რამიშვილი და მისი ორი მშანავი გერასიმე მახარაძე და
კონსტანტინე საბატარაშვილი, სოც.-დემოკრატიულ პარ-
ტიის უხუცესი წევრი სილობიტო ჯიბლაძე, ბროდსკი,
მსოფიერი, ჩიკვიძე და მგალობლიშვილი.

გახუთ „კლდის“ რედაქტორს გ. ვეშაპელს დასა-
ხულებული ჰყავდა: გიორგი ამირჯიბი, პარტენ გოთუა,
რევან გაბაშვილი, კოწია თუმანიშვილი, სერგო ქელბაქია-
ნი, ისიდორე კობრიძე, გ. მუხომეძე, გ. კაფიცი, ს. ხეინ-
თქარია, დ. დავითაია, გ. ტაიროვი. აგრეთვე ბრალდ-
ებულის წინააღმდეგობით სასამართლომ გამოითხოვა ნაფიც
ვეტილთა სამკოლან და დისკოლინარული საქმეები, რომ-
ელიც აღძრულ იყო იქ ივ. კახუხიანის წინააღმდეგ.

ივანე კახუხიანის სახელის რეაბილიტაციის შეცადა
თვით კახუხიანი და ნაფიც ვეტილი ა. ბებურიშვილი.
ბ-ნი გ. ვეშაპელი თავის თავს თვით იცავდა, ვე-
ტილი არა ჰყოლია.

სასამართლომ მოუხმო ორივე მხარეს მორიგებით
გათვებით საქმე, მაგრამ ორივე მხარემ ეს წინააღმდეგა
გადაპირით უარყო.

ბ-ნი გ. ვეშაპელმა თავი მტყუანად არ ჩასთავლა
და განაცხადა: მე ვცნობ თავს პასუხისმგებლად იმ ცნო-
ბების დაბეჭედებაში, რომელიც „კლდის“ დაიბეჭდა კა-
ხუხიანის შესახებ. მხოლოდ თავს დანაშავედ არა ვთვლი,
რადგანაც გახუთის სახელმწიფოთა ქეშმარიტი ცნობები გა-
მოგვეყენენ. ამ ცნობების დაბეჭედის დროს მე ვხელმძღ-
ვანობდი საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერე-
სებით. ივ. კახუხიანი პატარა კაცი როდია. მას სხვა და
სხვა პასუხსაგებ თანამებობანი ვერა. ჯერ იყო ტვი-
ლისის მილიციის უფროსად, მერე ქუთაისის გუბერნიის
კომისარად, ბოლოს მოგვევლინა ტფილისში, როგორც შე-
ფი ჯანდარბოთა კორპუსისა, ან როგორც ახლა ამბობენ,
განსაკუთრებულ რაზმისა. იგივე კახუხიანი ცნობილია,
როგორც მოქალაქე და თვალსაჩინო წევრი სოც.-დემოკ.
პარტიისა, ასეთ კაცის მოქმედებისთვის აუცილებლად ან-

და ნურავის გაუფლის თავში ავი ახრი. საქარ-
თველოს მხედრობამ მეგობრათ მოსული მეგობრათ
მიიღო და სინდრჯით სასვე სრუხით შესცქერის
მდუმარეთ მყოფს მოსულსაც.

მის საქციელს ორივე შემთხვევაში საქართვე-
ლოს თავისუფლების შენახვის აზრი იწირავს. ეს
გახლავთ პროგრამა დაწერილი ქართული მხედრო-
ბის სისხლით და ჩვენი დიპლომატია დირცხული
მსახური უნდა იყოს მისი.

ორი უკანასკნელი გამარჯვებით ჩვენმა ჯარმა
მეტად დიდის გავლენით შემოსა ბ. გვეგვიკორის სა-
ვარძელი კონფერენციაში და ძლიერი ძალის თამა-
სუკი მისცა ხელში.

ენახოთ როგორ ისარგებლებს ამით ბ-ნი
გვეგვიკარი?
შ. ქარუმიძე.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთის ფასი წლის დამლევაზედ 40 მან. | ნახევარი წლით 25 მან. | სამი თვით 15 მან. | ერთი თვით 5 მან.

ივ. კახუხიანის პროცესი.

გაროში უნდა გამეწია. ასეც მოვიქციე და გახუთში ავღ-
ნიწენ მისი მავნე მოქმედებანი. ჩემის მდგომარეობით მე
არც ერთს იმ ადგილას არა ვხდები, სადაც ქრთამს იღე-
ბენ, ან ადღევენ, ე. ი. არა მიაქვს საქმე პირველ წყარო-

მთავს, მაგრამ ივ. კახუხიანს უფლებს საზოგადოებაში უკ-
ვე გამოვეული აზრი ტრიალებდა, ყველგან ცნობილი იყო
როგორც მის წინააღმდეგ უკვე რამდენიმე საჩივარიც იყო
აღძრული ოფიციალურად. ვიცოდი მისი მოგვარება ღე-
ჩხუმი. წაკითხული მქონდა აგრეთვე გახუთში მოთავსე-
ბული ცნობები მის შესახებ. ვიცოდი ისიც, რომ საგან-
გებო საქმეთა კომისისა და ნაფიც ვეტილთა სამკოლოც
იყო აღძრული საქმე მის შესახებ. ყველა ამის შემდეგ მე
უფლებს მქონდა დამებეჭდა გახუთში უხომსენებულ ცნო-
ბები. დასასრულ სასამართლოს ესთხოვ მოითხოვოს სხვა-
და სხვა დაწესებულებებიდან და კომისიიდან ყველა ის
საქმეები, რომელიც კახუხიანის წინააღმდეგ არის აღძ-
რული, მათ შორის ნაფიც ვეტილის თარიღისა და კახუ-
ხიანის მდინის ი. კობრიძის საჩივარი.

სასამართლო შემადგომლობას ამაყოფილებს.
კახუხიანის ვეტილი ბებურიშვილი. გთხოვთ შეი-
ტანოთ ოქმში, რომ გ. ვეშაპელს, რომელმაც გახუთ-
ში შენიშვნები მოათავსა, საქმე არ ჰქონია პირველ წყა-
რობათა.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან). ესე იგი მექრთამებთან.
დას, შეიტანეთ ოქმში.

სასამართლომ დაადგინა საქმის ვარჩევა მოწამეთა
დაკითხვით დაიწყოს. დაკითხვს ჯერ გ. ვეშაპელის მოწ-
მეებს.

მოწმეთა დაკითხვა.
გ. კაფიცი. მე ვიცი ასეთი შემთხვევა, როცა ივ.
კახუხიანი შინაგან საქმეთა კანცელარიის დირექტორად
იყო, რამდენიმე კაცი შეიპყრეს საკეულიციისთვის, მათ
შორის სელიანოვიც იყო. მათ დიდი სასჯელი მოე-
ლოდათ. მცირე ხნის შემდეგ სელიანოვი პ. ფრიდონო-
ვთან ერთად ქუჩაზე შემხვდა. მე ხუმრობით ვკითხე, არ
ჩამოგარჩეს მეთქი. ფრიდონოვი მაშინ მიპასუხა, საქმე
უჭრამოთ არ გაკეთდაო, როცა კიდევ შეგვეკითხე ფრი-
დონოვი მითხრა, ამის განთავისუფლებაში ივ. კახუხი-
ანისა და 25,000 მან. ქრთამი ილიოვა. სელიანოვიც ეს
დემოლით დაამოწმა.

გ. ვეშაპელი (მოწმეს). თქვენ, როგორც ხმოსანს
და ქალაქის საბჭოს მაშინდელ სოც.-დემოკრ. ფრაქციის
წევრს, არ გახსოვთ, რომ ამ ფრაქციაში აღძრული იყო
საქმე ივ. კახუხიანის უკანონო მოქმედებათა შესახებ?
არ გახსოვთ კიდევ ის „ომისკები“ ქალაქის ლომბარში,
რომელიც ზედხუთ მოხდა კახუხიანის ვახარაგულე-
ბით?

გ. კაფიცი. მახსოვს, მაგრამ ამ საქმეს შეიძლება
კავშირი არ ჰქონდეს დღევანდელ საქმესთან.
თავმჯდომარე სხოვს ბრალდებულს, ისეთი კითხ-
ვები მისცეს მოწმეს, რომელსაც დღევანდელ საქმესთან
კავშირი აქვს.

გ. ვეშაპელი. ასეთი კითხვა შემდეგის მოსაზრე-
ბით მივიცი. ივ. კახუხიანი ამბობს, ნოე ჯორდანიანი და
ს. ჯიბლაძე იმიტრად დავსახელე, რომ ჩემი ზნეობრივი
სიმტკიცე დადასტურონო. მეც სწორედ ის მინდოდა,
რომ ნათელი მოგვენოდა ივ. კახუხიანის ზნეობრივს
პიროვნებას.

ივ. კახუხიანი (მოწმეს). ხომ არ გახსოვთ თქვენ
რომ მე იმ დროს ტფილისში არ ვიყავი, როდესაც სეი-
ლანოვი განთავისუფლდა?

გ. კაფიცი. არ მახსოვს.

ივ. კაჩუხაშვილი. სიღონავშიც დადასტურდა ფრანკონის სიტუაცია?
გ. კაჩუხაშვილი. ყოველ შემთხვევაში არ უარ უყვია. პირიქით ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ თავი მოვაჯღაღღე ჩათვალე, ამის შესახებ საგანგებო კომისიისთვის შევუთავაშე.

ივ. კაჩუხაშვილი (სასამართლოს) როცა სიღონავი განათავსდებოდა, ტფილისში არ ვიყავი. ამის მოწმობის წარმოდგენა მუდამ შემძლიან.

გ. ვეშაპელი. ამას მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება რომელიმე დაწესებულების უფროსი სხვაგან წაიღოს, საქმე კი უკვე დაწყებული იყოს და იგი გააგრძელოს უფროსის თანაშემწემ თანახმად უფროსის მიერ დატოვებულ ინსტრუქციას.

მოწმე რევ. გაბაშვილი. ბ-ნ კაჩუხაშვილის სამარტ-ხენო მოქმედების ბეგერი რამ ვამიგონია, მხოლოდ თვალით მხიარული არა ვარ, საზოგადოებაში იგი ცნობილია როგორც მექრთამე აღმინისტრატორი. პირადად მე ასეთი შემთხვევა ვიცი. ქართულ ეროვნულ საბჭოს საადგილ-მამული სექციის წევრებს ვესურვებ ვინმე გიგინიასთვის შენობა დაგვეტოვებინა ქართულ ქარვასლაში, მაგრამ სექციის გადაწყვეტა წინ მაშინდელი მილიციის უფროსი ივ. კაჩუხაშვილი და „პრიტონის“ პატრონ გიგინიას ინტერესები არჩია საქართველოს ეროვნულ საბჭოს ინტერესებს. მაშინ ჩვენ დაგვიწოდებდნენ, რომ კაჩუხაშვილს გიგინიასთან საქმიანობა უნდა აღებულიყო. ეს გარემოება იციან სექციის მაშინდელი წევრები: პ. ქეთუხაშვილი, გ. გვახაშვილი, მამარიაძე და სხვები. ვიცი ერთი ფაქტიც. იმ დროს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში გამგეობის წევრად ვიყავი, გამგეობამ სხვიანად ერთად ბ-ნ კაჩუხაშვილსაც მისთვის სამართალში მიცემულ აპროულა და-ცეს. კაჩუხაშვილმა ფული ქალაქში წააგო და საქმის დასაცავად აღარ წასულა.

თავჯღამიარე. გთხოვთ ილაპარაკოთ მხოლოდ კაჩუხაშვილის მექრთამეობისა და პროვოკატორობის შესახებ თუ კი იცით რამ არის.

რევ. გაბაშვილი. ჩემის ნათქვამით ის მინდა გავე-შუქო, არის თუ არა კაჩუხაშვილი ისეთი კაცი, რომელსაც ქრთამის აღება შეუძლიან. მე თვით ქრთამის აღებას არ დავსრულებია, მაგრამ ყველა იმის, ქრთამებს იღებს. ბაზარში როდესაც ვაჭარი მოგვხვდება ფულს დასო-ვლოდა, 500 მანეთის ცალკე გადასდებდა ხოლმე ესეც კაჩუხაშვილს. იყო ხმები, რომ კაჩუხაშვილის უკანონო მოქმედებას მთავრობამ ყურადღება მიუქცია, მაგრამ ვერ უბედავენ დათხოვნას, რადგანაც რალაც პარტიული სი-დუმულობა იცის.

გ. ვეშაპელი (მოწმეს). იცით თუ არა, რომ კაჩუხაშვილის საშუალებით სოც.-დემ. საოლქო კომიტეტში შეჭრილებმა შედიოდნენ?

რ. გაბაშვილი. გამიგონია.
თავჯღამიარე (მოწმეს). ის ფული შეჭრილებმა იყო თუ ქრთამი?

რ. გაბაშვილი. ჩემის აზრით, ქრთამი იყო, ხოლო სოც.-დემოკრატების ერთ-შემოჭრილებმა. გამიგონია ისიც, რომ ასეთი შეჭრილებმა მაშინ იყო ხოლმე, როდესაც კაჩუხაშვილი რამიმე „კარგ საქმეს“ გააკეთებდა.

თავჯღამიარე. ხომ არ იცით, თუ რა ბინა, რა შენობა ეჭირა გიგინიას?

რ. გაბაშვილი. მე ვიცი, მაგრამ იმის თქმა აქ არ შემიძლია, ვინაიდან აქ სხვათა შორის ქალებიც სხედან.

მოწმე გ. ამირეჯიბი. ერთ ოჯახში ვიყავი, სადაც დიდი მითუმ-მოთუმ იყო კაჩუხაშვილის მოქმედებათა გამო. აქ სერგო ქელაქიანმა გადამოქცა, რომ კაჩუხაშვილის შესახებ საბუთო საქმეს და მინდა მთავრობას ვაცნობო. ქელაქიანის ნათქვამი მთავრობის თავჯღამიარეს ნოე ყორაღიას და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რაშიშვილს ვაცნობე. უკანასკნელმა დაგვიბარა მე და ქელაქიანი და ვეგულავარი გამოგვკოხა. არ ვიცი რა იყო მიზეზი, მაგრამ ამის შემდეგ კაჩუხაშვილის ადგილი მისცეს ისანო ავაქიძეს, ხოლო კაჩუხაშვილი ჯერ ორი თვით, შემდეგ კი სამუდამოდ დაითხოვეს.

თავჯღამიარე. ქელაქიანმა რა ფაქტორი გადმოგვცა?

გ. ამირეჯიბი. როგორც ქელაქიანმა დამარწმუნა, ვერაზე გარკვეულად შინებისა, თუ ბენზინის გაყიდვისათვის დაიჭირეს ალიხანოვი და ჯაფარიძე. ეს უკანასკნელი ციხეში მოკვდა, ხოლო მეორე პარტიანი განთავისუფლებულ იქნა მაშინ, როდესაც მისმა ძმამ კაჩუხაშვილის კოლს 7,000 მ. მიუტანა.

ვექილი ბებურიშვილი. როდის იყო, რომ თქვენ მთავრობას აცნობეთ ეს ამბავი? ბაგრატიონ-დავითაშვილების საქმეზე ადრე იყო, თუ შემდეგ?

— შემდეგ.
 — როგორი დამოკიდებულება გქონდათ თქვენ კაჩუხაშვილთან?

— კარგი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? გეტყვით ამასაც. მილიციის სახელმწიფოში ძაღი დაკლებულა და მეუბნება შეჭრილებს იყო. ეს კაჩუხაშვილმა შეშინა-ხივლა, მაშინვე დახმარება აღმოუჩინე და ადელხანოვის ქარზინდან მივალბინე სამყოფი ძაღი. კაჩუხაშვილმა ეს ძაღი ზოგი მუქად მიიღო და ზოგი ფსით და ახლა აღარ ვიცი, როგორ არის ჩაჭრილი მილიციის ქალაქში.

ვექ. ბებურიშვილი თხოულობს წაიკითხულ იქნეს გზ. „საქმე“-ში მოთავსებული განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ამბობს, ივ. კაჩუხაშვილი ორის თვით დასასვენებლად წავიდა და მის ცუდ მოქმედების შესახებ არავითარი საჩივარი და ცნობა არა გვაქვს ხელში.

სასამართლო შუამდგომლობას აკმაყოფილებს. სასამართლო აგრძელებს აკმაყოფილებს გ. ვეშაპელის შუამდგომლობასაც, რომ გამოწვეულ იქნას სასამართლოში შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რაშიშვილი, ნოე ყორაღიას მდივანი გ. ცინცაძე და რ. ერისთავი, რომელთაც ერთად გ. ამირეჯიბი შინაგან საქმეთა სამინისტროში მისულა.

15 აპრილის საღამოს სხდომა.

მოწმეთა დაკითხვა გრძელდება. დაკითხულ იქნა, როგორც გ. ვეშაპელი, ისე ივ. კაჩუხაშვილის თხოვნით გამოწვეული მოწმეები.

მოწმეები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ივ. კაჩუხაშვილის ქალაქის მილიციის უფროსთან ყოფნის დროს, კაჩუხაშვილის შემწეობით სოც.-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ბიუროში საქმიან შეჭრილებმა შედიოდნენ.

მოწმე ისიდ. კახიანიძე. მე კაჩუხაშვილის დროს მილიციის სამართლებრივი მდივანი ვმსახურობდი. კაჩუხაშვილის მიერ ქრთამის აღება მოხდა არ მინახავს, რადგანაც საქართველოს კაჩუხაშვილი თავის კაბინეტიდან დაამთავრებდა ხოლმე. ამა ისიდორე, დამტოვე პატარახანსაო. ვიცი ასეთი შემთხვევა, როდესაც წართხვეული შეპარა (ერთი ფული) თავის სახლში წაუღია. მე თვით ჩემის ხელთ წაუღიეს ის შეპარა მაგის კოლს. ვიცი ისეთი შემთხვევები, როდესაც ბატონი კაჩუხაშვილი შეჭრიუ-

ლების სახით ძალდატანებით ფულს ახდენებდა ხალხს. მაგალითი: ერთს კაცს მე უპოვე სპირტის გატანის ყალბი მოწმობა. მის კაჩუხაშვილმა 300 მ. გადახდევინა სოც.-დემ. სასარგებლოდ და გაუშვა.

ამის შემდეგ ივ. კაჩუხაშვილი ამტკიცებს, რომ ი. კახიანიძე დათხოვნილი იყო მისგან მექრთამეობისაგან. კახიანიძე თავის მხრივ დასძინს, რომ მუდამ კაჩუხაშვილის მექრთამეობას ვეღარ დავადებდი და ის გახდა ჩემი დათხოვის მიზეზი.

მოწმე გერ. მახარაძე (შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი). ვიქლი ბებურიშვილის კითხვებზე მოკლეთ უპასუხებ:

ი. კაჩუხაშვილი ჩვენთან მსახურებდა. მისგან ქრთამების აღების შესახებ სამინისტროში ოფიციალურად ცნობა არა მოსულა-რა. იყო მხოლოდ ქორების მსგავსი ხმები ალიხანოვ-ჯაფარიძის საქმე მახსოვს, მხოლოდ არ ვიცი, ვის ხელში იყო და არც ის მახსოვს, ვის განკარგულებით განთავისუფლებული აღიხანოვი. იქნებ მეც მოვაწერე ხელი განთავისუფლების ქალაქად, ან მინისტრმა.

თავჯღამიარე (მოწმეს). რა იყო მიზეზი კაჩუხაშვილის წასვლისა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორთან თანამდებობაზე?

გ. მახარაძე. ი. კაჩუხაშვილი ორის თვით დასასვენებლად იყო განთავისუფლებული. ვადა რომ გაუთავდა, ქალაქი შემოიტანა სულ განთავისუფლებული ადგილიდანაო. საერთოდ ლაპარაკი ბებური იყო კაჩუხაშვილის შესახებ. მე თვით ბებური რამ ცუდი მსმენია მისი, ომუცა დოკუმენტები არ მინახავს. რადგან ამ კაცის გარშემო ამდენი მითუმ-მოთუმ იყო, ამიტომ პირადად მე თავიდანვე იმ აზრს დავადექე, რომ კაჩუხაშვილის სამსახურისთვის თავი უნდა დაეხებებინა, თუნდაც ინგლოზი ყოფილიყო იგი.

თავჯღამიარე. რა როლს თამაშობდა ბ-ნი კაჩუხაშვილი ბაგრატიონ-დავითაშვილებისა და სხვების საქმეში?

გ. მახარაძე. ისეთს როლსაც საერთოდ დირექტორს შეუძფერის.

გ. ვეშაპელი (მოწმეს). საქმე გაბერილი იყო თუ არა? როგორი იყო როლი კაჩუხაშვილისა ამ საქმის გაბერვაში?

გ. მახარაძე. ჩემის აზრით ამ საქმის შეთხვევაში მონაწილეობა არ მიუღია.

გ. ვეშაპელი. ვინ წარუდგინა ამ საქმის შესახებ მოხსენება მინისტრს?

— არ ვიცი. მე თვით კი საქმე ვავიცი იმ ქალაქ-დებიდან, რომელიც ი. კაჩუხაშვილს ებარა, როგორც დირექტორს. შემდეგ მე სხვებში წვედი და საქმის ბოლო აღარ ვიცი.

ი. კაჩუხაშვილი (მოწმეს) ვისი ცნობებით იყვენ დაჭერილი ბაგრატიონ-დავითაშვილი და სხვანი?

— არ მახსოვს.
 — იმ შეადგინა მთავრობის განცხადება ამის შესახებ? მე ჩემით დავსწერე თუ მხოლოდ ისე, როგორც დირექტორები მომცა მინისტრმა რამიშვილმა?

— მახსოვს, რომ დირექტორები მინისტრმა მოგცა.
გ. ვეშაპელი. სამინისტრო აცხადებს ნოეზორის ათვის ნოეზორი, რომ კაჩუხაშვილის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეუბნებია. ნამდვილად კი ერთის თვის წინად თათროვის მიერ სამინისტროში შემოსული იყო დასაბუთებულ ოფიციალური საჩივარი. რითი აუხსნათ ეს შესაძლებლობა? იქნებ სამინისტროს სახელთი განოქვეყნებული დოკუმენტი ყალბია და იქნებ კაჩუხაშვილმა ნანიე-შვილის საშუალებით მოახერხა თავის გამართლება?

გ. მახარაძე. ამ დროს ტფილისში აღარ ვიყავი. ვიცი ის კი რომ თათროვის საჩივარი მხედველობაში არ არის მისაღები, რადგანაც იგი სულიერი ავადმყოფია, როცა ერთხელ დავიხარე, სიქვა, ჩემს საჩივარში აღნიშნული ბრალდებანი ნაყოფი ჩემის სულიერი ავექტისა და მისი დამტკიცება არ შემიძლიან.

მოწმე კონ. საბახტარაშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი მეორე ამხანაგი). თავჯღამიარის კითხვებზე შემდგამ უპასუხებ: კაჩუხაშვილის მექრთამეობის შესახებ არა გამიგონია-რა. ვიცი დაბეჯითებით ისიც, რომ ბაგრატიონ-დავითაშვილებისა და სხვების საქმის შეთხვევაში წილი არ უღვევს კაჩუხაშვილს.

ვექ. ბებურიშვილი. ეს საქმე (ბაგრ.-დავ.) პირველად სად დაიდგა?

— რამდენადაც მახსოვს, ჩვენს სამინისტროში არა.
ი. კაჩუხაშვილი. სიღონავის საქმე გახსოვთ?

— მახსოვს.
 — როცა სიღონავი განთავისუფლეს, მაშინ მე დირექტორად ვიყავი?

— მგონი აღარა.
 — ქუთაისიდან რომ დავბრუნდი, ხომ გითხარით, როგორ განთავისუფლებული ისეთი მძიმე დანაშაულზე, როგორც სიღონავი მექ?

— მახსოვს, ვაკვირდით.
 — როცა მივლილი ხომ გითხარით ესა და ეს პირი არ განთავისუფლეთ მექ?

— მახსოვს.
გ. ვეშაპელი. ხომ გახსოვთ სამინისტროს განცხადება, რომელიც გაუთქმე დაიბეჭდა.

— მახსოვს. ვიდრე გაუთქმე დაიბეჭდებოდა, მე ამ განცხადებისა არ ვიცოდი-რა და არც სავალდებულო იყო, რომ მცოდნოდა.

გ. ვეშაპელი. კაჩუხაშვილის წასვლას დასასვენებლად გავტყობებულ ქორებთან ხომ არ ჰქონდა კავშირი?

— არა.
მოწმე მოხუც ნილობისტრა ჯიბლაძე. ახლა ისეთი დროა, რომ დღითიდღე ლაპარაკობენ მექრთამეობაზე. ივანე კაჩუხაშვილზეც ბებური გამოგონია. ქრთამებს იღებს-სო, მაგრამ ეს ხმები დღემდე არავის დაუმტკიცებია. პირიქით ეს ხმები მუდამ გაქრწყვლებულა შეურყეველ ფაქტებით. ამ ცრუ ხმებს აგრესიებებს მაგისი მექრთამე, რომელთა რიცხვიც ერთობ დიდია. ეს მექრთამე კი შეიძინა იმით, რომ სხვა და სხვა პასუხაებზე თანამდებობაზე ყოფნის დროს მუდამ პირდაპირ მოქმედებდა და დიპლომატია არა სწავდა. მილიციის უფროსის ალაგი მავას თვითონ როდის უთხოვნია. პირიქით თვით პარტიამ დატანა ძალა, რომ ეს გამოცდილი და საჭირო კაცი ამ ადგილზე აუცილებლად დათანხმებულიყო. მილიციამ თავის სამსახურს შეუღდა პირინთადად და პარტიანსად ასრულებდა და ამიტომაც იყო, რომ მან შემდეგ უფრო დიდი ადგილი მიიღო. გარწმუნებთ, რომ მავას რამიმე ცილებში ჰქონდეს, სოც.-დემოკრატიკა ხელს არ დაფარებდა და დაუყოვნებლივ გამოორცხავდა თავის წევრთა სილიან. მაგის წასვლაც სამინისტროს დირექტორის ადგილზე მაგისივე სურვილით მოხდა და არა იძულებით და გისიმე წინადადებით. ივ.

კაჩუხაშვილი ლესაც იმავ ნდობითა და პარტიისკენით სარგებლობს, როგორცაა წინად.

ვექილი ა. ბებურიშვილი. ქალაქის საბჭოს სოც.-დემოკრ. ფრაქციამ კაჩუხაშვილის შესახებ ლაპარაკი იყო?
 — იყო. კაჩუხაშვილს, როგორც მილიციის უფროსს, სხვადასხვა ბრალი, ედებოდა. ამ ბრალდებათა გამოძიებას და გარჩევას ფრაქციამ სპიხ ხელში მოაწინააღმდეგა და საქმის დაწყობისთვის გამოარკვევის შემდეგ ერთხელ აღიარა ყველა ბრალდების უსაფუძვლობა.

გ. ვეშაპელი. კაუფივეც მავ აზრისა დარჩა?
სილ. ჯიბლაძე. კაუფივე, რომელიც იმ დროს სოც.-დემ. პარტიის წევრის სახელს ატარებდა, მხედველობაში არ არის მისაღები, რადგანაც ის დაუძინებელი მტერია ყველა ქართულ დაწესებულებისა, ყველა ქართველ მოღვაწისა და საერთოდ ყოველივე ქართველისა.

გ. ვეშაპელი. მას კაჩუხაშვილის სოც.-დემოკრ. პარტიში ვინადაც ჰქონდა და ახლაც აქვს მორალური და პოლიტიკური ნდობა და პარტიისავე წინადადებით დაიპირა მილიციის უფროსის თანამდებობა?

— დაას.
გ. ვეშაპელი. პარტიამ მერე არ იცოდა, რომ კაჩუხაშვილს რევოლუციამდე კარტის სათამაშო სახლი ჰქონდა?

თავჯღამიარე ასეთ კითხვას უკრძალავს.
გ. ვეშაპელი. ეს მხოლოდ იმპრემ ვკითხე, რომ აქ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ კაჩუხაშვილის პიროვნებაზე. (მოწმეს) ბ-ნი მოწმე, თქვენ არ გახსოვთ, რომ კაჩუხაშვილის მოქმედებთა გამო რამიმე პარტიული გამოძიება ყოფილიყოს.

— არ მახსოვს.
გ. ვეშაპელი. სოც.-დემოკრ. პარტიში შემოსულა თუ არა რამიმე შემოჭრილებმა კაჩუხაშვილის ხელში?

მოწმე ს. ჯიბლაძე. შემოსულა ზოგჯერ მე თვით მიმიღია მაგისგან.
გ. ვეშაპელი. ყოველ შეჭრილებსაც იღებს პარტია, თუ არის ისეთი შეჭრილებაც რომელსაც პარტია არ მიიღებს? საერთოდ ამის შესახებ ხაზინადარს არავითარი ინსტრუქცია არა აქვს მიცემული?

სილ. ჯიბლაძე. არა. ვისაც შემოაქვს, ის იწვევს დავთარში. მეც კი მიმიღია, მაგრამ ამას არც დავკრედიებოდა. 1905 წლიდან ასეთ შეჭრილებებს ვიღებთ. შეჭრილები, რასაკვირველია, უფრო მდიდრები არიან, ჩემი პარტია წესრიგის დამცველი პარტია და ამიტომ ბუნებრივად არის რომ ფულს სწირავენ მდიდრები, რომელთაც აგრძელებს სწორი წესრიგი. აქ პარტიისათვის სასარგებლო არა არის რა.

ვექილი ბებურიშვილი თხოულობს, რომ გამოწვეულ იქნას სასამართლოში პეტრე ჭავჭავაძე, რომელსაც სოც.-დემოკრ. პარტიის წევრად მიუთითა, გიგინიასი და კაჩუხაშვილის საქმე იცის.

გ. ვეშაპელი. ალიონლები სოც.-დემოკრატის შეუთრდნენ და მასადაამე პეტრე ჭავჭავაძე დადებულს პარტიულ მანდატით მოვა აქ ისევე, როგორც დანარჩენები სოც.-დემოკრ. მოწმეები მოვიდნენ ამიტომ საჭიროა პ. ქეთუხაშვილის ერთად გ. ვეშაპე, პ. მამარიაძე და ეროვნულ საბჭოს საადგილ მამული კომისიის სხვა დანარჩენი წევრნიც გამოიწვიეთ.

სასამართლო შუამდგომლობას აკმაყოფილებს.
მოწმე ბრილიცკი. ყოველი წევრი საგამომხებლო კომისიის აცხადებს, რომ როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, ხმები კაჩუხაშვილის მექრთამეობისა არ დამტკიცდა.

მოწმე გ. მაგალიშვილი. (შინაგან საქმეთა სამინისტროს სადინისტრატორი განყოფილების უფროსი). კაჩუხაშვილის მექრთამეობის არა ვიცი რა. არა ვიცი რა არც იმისა, კაჩუხაშვილი თვით წავიდა სასახურად, თუ იგი აიძულეს წასვლიყო ვიცი მხოლოდ გადმოცემით, კაჩუხაშვილს ჯერ საუბარი ჰქონია მინისტრის ამხანაგ გ. მახარაძესთან და შემდეგ წასულა.

ვექილი ბებურიშვილი. საერთოდ ხშირად შედიოდა ხოლმე კაჩუხაშვილი მინისტრის კაბინეტიში?

მოწმე მაგალიშვილი. დახ, ხშირად მთელი საათობითაც უცდიდით ხოლმე.
გ. კაჩუხაშვილი. ამის შემდეგ განმარტებას იძლევა ბაგრატიონ-დავითაშვილებისა და სხვების საქმის გამო, როგორც მის სიტყვიდან სჩანს, კაჩუხაშვილი დამით დაუბარბაით სამინისტროში და განკარგულება მიუთითა, შეუთქმულნი დაქირაო. კაჩუხაშვილი შეყაყმანებულა, მაგრამ მინისტრის წინადადება იმდენად კათეორიული ყოფილა, რომ იგი იძულებული გახდა, ბოძინება გაეცა ბაგრ.-დავითაშვილების შეპყრობის შესახებ.

მოწმე ჩიკაძე (საგანგებო საქმეთა წინადადელი მხედველ შინაგან საქმეთა სამინისტროში) ამტკიცებს, რომ ბაგრატიონ-დავითაშვილების საქმეში კაჩუხაშვილი არავითარ როლს არ თამაშობდა. ამ საქმის შესახებ გამოძიება ჯერ საგანგებო რაზმის უფროსის კეილის ხელში იყო, მერე კი ჩემს ხელში. რაც შეეხება სიღონავის განთავისუფლებასა არც ალიხანოვისაგან ქრთამის აღების იცის, რომ კაჩუხაშვილი ალიხანოვის ნათესავებს ეუბნებოდა, ტყუილად ფულს ნუ ხარჯავთ, რადგანაც როცა დრო მოვა, უმისოდ ფულს განთავისუფლებთ ალიხანოვსაო. სამსახურიდან კაჩუხაშვილის წასვლის შესახებ მოწმემ მხოლოდ ის იცის, რომ კაჩუხაშვილი ორის თვის დასვენების შემდეგ თფილისში ჩამიბრუნდა, დროს 10 საათე მინისტრთან იყო. როგორც იასონ ავაქიძის სიტყვიდან იცის, კაჩუხაშვილი ჩამოსვლის შემდეგ სამსახურში დარჩენას აპირებდა.

ივ. კაჩუხაშვილი ამას დასძინს: დასვენების შემდეგ მართლაც ვიყავი ჩემს კაბინეტში, დავწერე „ოცტატაკა“ და ჯერ მინისტრის ამხანაგთან და შემდეგ მინისტრთან შევედი. ჩემი გადადგომის ქალაქში უწერლი, „საღმდეგ“-ში დაბეჭდილი შენიშვნების შემდეგ სამსახურში დარჩენის შემდეგ მუდამ ცნობდა და „საღმდეგ“-ს რედაქტორს სამართალ-ში ვაძლევდი ცილისწამებისათვის მეთქი.

სხდომა ნაშუადღევს ხუთის ნახევარზე სწყდება. გაგრძელდება საღამოს 6 საათისთვის.

16 პარტიის დღის სხდომა.

ამ დღის სხდომა იხსნება ვექილი ბებურიშვილის თხოვნით, რომ გამოწვეულ და დაკითხულ იქნას ის პირები, რომლებიც ამ შემთხვევაში პირველ წყაროებს წარმოადგენენ. სახელმძღვანელო სიღონავი, ფრილიონი და ალიხანოვი.

გ. ვეშაპელი თხოულობს დაკითხულ იქნან პრაცირორი დილეგცი, ანდელაკი, სესიევი და ავაქიძე.

სასამართლო მხარეთა თხოვნას აკმაყოფილებს. შემდეგ დაკითხულ იქნა მთავრობის თავჯღამიარის ნ. ყორაღიას მდივანი ცინცაძე.

იგი სასამართლოს მოუთხოვს, რომ მთავრობის

ბასთან მოვიდა ერთი პირი, რომელსაც „სადაც“ და, რომ ბაგრატიონ-დავითაშვილთან რალდელს დასძინებდა, რომელსაც უნდა გამოუმხეებულ იქნას საკითხი სპეციალური რაზმის შედგენისა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა დღის მოკრეფა. ყველაფერი ეს ეცნობა რამიშვილს. მან გამოაწვია კაჩუხოვი და უბრძანა დაეჭირა ყველა ამ შეჭრეფილი.

მოწმე ქელაქიანი ამბობს, რომ დაჭერილი ალიხანოვის ძმამ ვაღმომცა, რომ საქმე კარგად მოაწყო და მალე ტფილისი განთავისუფლებული იქნებოდა. ამ საქმისთვის კაჩუხოვის ცოლმა 7,000 მანეთი მიიღო, მართლაც ნახევრებ დროს ალიხანოვი განთავისუფლებულ იქნა. ამის შესახებ მე მოთარობის თავჯღამიარესაც ვეღარავინ ვეუთხარია, რაც თქვენ.

გ. ვეშაპელის თხოვნით გამოწვეული ალიხანოვი უარს ამბობს, ქრთამი არ მიმიციაო.

ალიხანოვი და ქალბატონი პირისპირ უყენებენ. ორივე მოწმე თავის წინანდელ ჩვენებაზე რჩება.

მოწმე გიორგი გვახაძე. კაჩუხაშვილზე ბებური ცუდი ხმა დადიოდა, ხოლო მე თვით ფაქტი არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ერთი რამ, მე მაშინ ქართულ ეროვნულ საბჭოს ქონებათა გამგე სექციის თავჯღამიარე ვიყავი, სექციის უნდადა, რომ ქართულ ქარვასლაში შენობა დაეკეთებინა გიგინიასთვის, მაგრამ ეს ვერ მოახერხებულა.



ლტოლვილითაჲს

აო.წოდება.

ოსმალეთის აგენტი უდროების მით გამოწვეულ ამბოხებამ მესხეთ ჯავახეთში, დედამიწასთან გასწორა მშრომელი გლეხკაცობა. მრავალი წლის განმავლობაში ქარის ოფლით, წვადავით აგებული სახლკარი ელის სისწრაფით შთანთქა უღმობელმა ცეცხლის ენებმა, მისი სარჩო საბადებელი. სახანავ სათესი: უკანასკნელი ბავშვის პერანგიც კი ვერ მოასწრეს გამოეტანათ და ამნაირ მწარე ცრემლებით ტიტველ-შიშველნი მესხეთ-ჯავახეთის ყინვა-ბუქში გამოესალმენ თავიანთ არემარეს და მოაშორეს ბორჯომს, მის მიდამოებს და დაბანადენ მთელს ხეობაში თითქმის; ლუკმა პურის ნატრულნი, ადამის სამოსელში გამოხვეულნი, ავადმყოფობისაგან პირხახა გამშრალნი...

აი ამ საბრალო ხალხის ტანჯვა-ვაების შესამსუბუქებლად საქ. მთავ. განკარგულებით და ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტის წევრი ბ. ბუქუტიანი თანადანსწრებით ბორჯომში შესდგინტერნაციონალური სარაიონო ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, რომელსაც ფრიად დიდი და საპასუხისმგებლო ვალდებულება აწევს კისერზე და იმედი აქვს პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ მძიმე მოვალეობას თუ მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა, საზოგადო და კულტურული დაწესებულება გაუწოდებენ მას ხელს და აღმოუჩენენ ნივთიერ ანუ ზნეობრივ დახმარებას.

ამიტომ მორჯომის სარ. ლტოლვ. დამხ. კომიტ. მოგმართავთ რა ამა მოწოდებით, უმორჩილესათ გთხოვთ ყველას, გამოიღოთ მათ სასარგებლოთ თქვენი წვლილი, რითაც, გვექნება საშუალება მესხეთ-ჯავახეთის გლეხობას მივაწოდოთ ხმელი ქუდის ნატრები მაინც რომ შეიღებოთ უღმობელმა შიმშილმა არ დაუზოცოს.

ნივთიერი თუ სხვა გვარი დახმარებისათვის მისამართი: ქ. ბორჯომი თავჯდომ. კ. დ. ჯაფარიძეს.

ყოველი შემოწ. გამოცხადებულნი იქნება გაზეთებში.

თავმჯდომარე ჯაფარიძე. საქველმ. საზოგ. წარმ. ლევ. ციმაკურიძე.

მღვიანი ვ. დავთიანიცი.

რევიზიის შედეგი.

ტფილისის პირველი სასურსათო მაღაზია.

მთავრობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ მოახდინა რა რევიზია თფილისის სასურსათო მთავარ პირველ მაღაზიისა, შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი აღმოაჩინა: შემოსავალ-გასავლის წიგნები ისე უწარმოებიათ, რომ შეუძლებელია მაღაზიის საქონლის რაოდენობის გამოკვლევა რა და რა დროს რამდენი საქონელი შემოდის ან გაქონდათ, წიგნებში სრულიადაც არ არის აღნიშნული. შემოსავლის წიგნებში არ შექონდათ არა მარტო ისეთი საქონელი, რომელიც მაღაზიაში თითო ყულობით შემოდის, არამედ სრულიადაც არ არის ნაჩვენები წიგნებში მაღაზიის მიერ მიღებული 1767 ფუთი სიმინდი, 3692 ფუთი ხორბალი, 1017 ფ. ქერი. ზოგიერთი საქონლის რაოდენობა, მართალია, შეტანილია წიგნებში, მაგრამ სწორეთ არ არის ნაჩვენები, მაგალ., ქონი უნდა ყოფილიყო 1 იანვრისთვის 703 ფ. და 25 გირ. წიგნებში კი ნაჩვენებია მხოლოდ 40 ფ. და 8 გირ. აღსანიშნავი ისიც, რომ ზოგიერთი საქონელი მეტია გატანილი მაღაზიიდან, ვიდრე ეს შემოსავლის წიგნებშია ნაჩვენები.

პირველ იანვარს საწყობში ყოფილა 213 ფ. და 24 გირ. ჩაი, გაუტანიათ 216 ფ. და 2 გირ. ესე იგი, 2 ფ. და 18 გირ. მეტი. ეს ამტკიცებს, რომ შემოსულ საქონლის რაოდენობა არ არის ნაჩვენები სწორეთ, თორემ შეუძლებელი იყო ზედმეტი საქონლის გატანა, ვიდრე ეს მაღაზიაში იყო.

მაღაზიას ჰქონია საკუთარი პურის საცობი. 23 დეკემბრიდან პირველ აპრილამდე მაღაზიაში შემოსულა 12,724 ფუთი და 9 გირ. პური, დაუხარჯნიათ 11,158 ფ. და 5 გირ. არ არის ნაჩვენები წიგნებში სად გაქრა 1571 ფ. და 4 გირ. პური. შემოსავალ-გასავლის წიგნი ყოველ დღე უნდა შეემოწმებინა მაღაზიის ზედამხედველს გამცემლიძეს, რაც მას სისრულეში არ მოუყვანია. ამ სასურსათო მაღაზიის რევიზია მოახდინა წინათ გენ. მაკეაბრია-

ნის კომისიამ და უნდა აღნიშნოს, რომ ეს რევიზია სრულიად უმიზნო გამოდგა. ამ კომისიის სრულიად არ მიუქცევია სათანადო ყურადღება მაღაზიის ქაოტიურ მდგომარეობისთვის. ამ კომისიის მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ისეთი საქონელი, რომელიც დღეს ბაზარზე ცოტა მოიძებნება, მაგ. შაქარი, ერბო და სხვა, ძლიერ იავ ფასებში გაუყიდნიათ. აღსანიშნავია, რომ საქონელი იყიდებოდა არა საჯარო ვაჭრობით, არამედ ძლევადენ სხვადასხვა დაწესებულებებს და აშკარად კერძო პირებიც ყიდულობდნენ საქონელს ამ მაღაზიიდან.

კომისიამ შეადგინა ოქმი და თავის დასკვნით წარუდგინა სამხედრო მინისტრს. კომისია სთხოვს სამხედრო მინისტრს გადაეყვებულ იქნას სამსახურიდან მაღაზიის ზედამხედველი გამცემლიძე და აგრეთვე გადაეცეს მისი საქმე სასამართლოს. კომისია მოითხოვს, რომ დაუყონებელი შესდგეს კომისია, რომელიც გამოაკვლევს მაღაზიის საქონლის რაოდენობას, თუ აღმოაჩნდება რომ საქონელი აკლია საწყობს, მისი ღირებულება გადაახდებინონ დამნაშავე პირთ. კომისია მოითხოვს, რომ შენიშვნა გამოეცხადოს გენ. მაკეაბრიანს და მის კომისიის წევრებს, რომელთაც საქმისადმი დაუდევრობა გამოუჩენიათ.

სვანეთის საჭიროებანი.

სვანეთის წარმომადგენელი ა. გაბლიანი სწერს:

1. დაუყონებელი უმთავრესი ყურადღება მთავრობის მიერ უნდა იქნას მიქცეული სვანეთში მაგარი აღმინისტრაციული აპარატის შექმნაზე, რისთვისაც საჭიროა:

ა) შესაფერისი პირების დანიშვნა კომისრად, რომელსაც ანარქიის ლიკვიდაციის მოხდენამდე უნდა ყავდეს ორი თანამეწე, ერთი საქმის მწარმოებელი და ერთი მლიციის უფროსი: მათ ყველას უნდა ქონდეს გადიდებული ჯამაგირები.

ბ) მლიციის შტატის გადიდება 55 კაცამდე, რაზედაც უკვე აღძრულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შუამდგომლობა.

დ) სვანეთის 11 საზოგადოებაში კომისრების და 55 მლიციონერების დანიშვნა და ყოველთვიურად მათი დაქმნაყოფილება ჯამაგირებით.

2. საჭიროა სვანეთში ორს ადგილას პოსტის დაარსება და მათი გამაგრება თითო პულემიოტით, ზარბაზნით და სხვა საჭირო იარაღით და ტყვიის „ზაპასით“. საჭიროა სვანეთში იქნას გამოგზავნილი მთავრობის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა ყოველ მხრივ სვანეთის მდგომარეობას, ხალხსაც აუხსნის მთავრობის მოთხოვნები რის შემდეგაც იქნება გამოანახული უფრო მტკიცე და რეალური ზომები სვანეთის მოსაწყვრივებლად და ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

3. სვანეთში გადადებულია ერობისა და დამფუძნებელი კრების არჩევნები, საჭიროა, როგორც ერობისა და აგრეთვე დამფუძნებელ კრების არჩევნების დაჩქარება, განსაკუთრებით პირველის, ვინაიდან ეს შესაძლებელია და სვანეთი რომ ამ საზოგადო ფერხულში არ არის ჩაბმული ამითი მისი ინტერესები ილახება.

4. სამაზრო ერობის გამგეობაში სვანეთს აუცილებლად უნდა ყავდეს თავისი წარმომადგენელი, არჩეული სვანეთის წევრილი საერობო ერთეულების მიერ.

5. სასურველია, რომ სვანეთში კომისრებად და მლიციონერებად ადგილობრივი მკვიდრნი, ხალხის ზნე-ჩვეულებების და ფსიქოლოგიის მცოდნე შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი ინიშნებოდეს, მაგრამ მეორეს მხრით უმჯობესად და უფრო მიზან შეწონილად მიმაჩნია თუ მიღობ არა ნახევრად მინც გარეშე ქვეყნების ანუ არა, სვანეთის დანიშვნა სვანეთში ამა თუ იმ აღმინისტრაციულ თანამდებობა-

ზე. ვინაიდან ადგილობრივ მკვიდრთა მოქმედება იმდენად შეზღუდულია სხვა და სხვა გარემოების მიხედვით, რომ მიზანს ვერ აღწევს.

6. საჭიროა სვანეთში მოხერხდეს მედიატორული წესით მორიგება ამა თუ იმ საქმეებზედ, ვისთანაც საქმე ექნებათ, რომ ამით ბოლო მოეღოს მათ მტრულ განწყობილებას მეზობელ ხალხებთან.

7. სვანეთში მუდმივად უნდა იყოს მსაჯული.

8. საჭიროა გაიხსნას სვანეთში ორი პირველი დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი რასაც შეუძლია მოაზნოს სვანეთს განათლებისა და კულტურის სიციფი, და განკურნოს სულიერად და გონიერულად დაავადმყოფებული ხალხი.

9. მეურნეობის გასაუმჯობესებლად გაიხსნას ერთი სამეურნეო სასწავლებელი.

10. გაიხსნას სვანეთში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები რაც შეიძლება დაჩქარებით.

11. გაიხსნას ორ ადგილას ფერწილის პუნქტები.

12. ვინაიდან სვანეთი მოწყვეტილია უგზო-უყვლობისა გამო კულტურულ ცენტრს და ეს არის უმთავრესი მიზეზი სვანეთის სიბნელისა, უკულტურობისა, ეკონომიურ სიკოტრისა და ყოველგვარ აქარსებულ ცხოვრების მძიმე პირობებისა, ამიტომ უმთავრესი ყურადღება მთავრობამ უნდა მიაქციოს სვანეთში გზების გაყვანას, რაცა ხელს შეუწყობს არა მარტო სვანეთში სასურველ მდგომარეობის შექმნას, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიურად აყვავებას, ვინაიდან გზების გაყვანა ხელს შეუწყობს სვანეთიდან ბევრ იქ არსებულ ბუნებრივი სიმდიდრის გამოტანას და ცენტრთან გაერთიანებას. დიახ, სანამდის სვანეთს ამ ჯურღმულიდან და ღრე კლდეებიდან გამოსავალი კულტურულ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები არ ექნება, მანამდე ფუჭი იქნება ყოველგვარი მუშაობა და ცდა მისი კეთილდღეობისთვის. ამიტომ გზა და მხოლოდ გზა იხსნის სვანეთს სიბნელისა და ყოველგვარ უბედურობისაგან და მის გაკეთებით საიმედოდ გადაწყდება სვანეთის ბედ-იღბალი.

13. საჭიროა სვანეთში იქნას გამოგზავნილი მთავრობის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა ყოველ მხრივ სვანეთის მდგომარეობას, ხალხს აუხსნის მთავრობის მოთხოვნები რის შემდეგაც იქნება გამოანახული უფრო რადიკალური და მტკიცე ზომები სვანეთის მოსაწყვრივებლად და ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

ქართული ლაზარია

დავანებოთ თავი ყველაფერს და ყველას! ერთი კითხვა მწვავე ახლა ითხოვს შეგლას. ჯერ არ დავიგვიანა, ლატარიის ბედი! ხელოვნება გვინდა განათლების სვეტი. ეხლა ლექსი აქებს, ჩვენი ქვეყნის მმართველს, ყველა მოქალაქეს, ყველა ერთგულ ქართველს: მოგვაშურეთ მალე ჩვენ გასწავლით გზასა... სწრაფად დაიცალა, ბილეთების კასა! მსურს მუდამ ვუმდერო, ერს სხვა ფიქრით გართულს: „მოაშურე ერო,

ლატარიას ქართულს“.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთად-ერთ სახელგონო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ

თეატრი და ცხოვრება-ზე

წელიწადი მუშავდება გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ ოსტებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ვატარელების მიმოსვლა

მიდის თფილისიდან.

ფოტოში:

- მ. № 1 სასწრაფო საღამ. 7 საათ. 30 წ.
- ხაშურიდან—ღამის 10 ს. 52 წ.
- შორაპნიდან—ღამის 1 ს. 34 წ.
- სამტრედიიდან—ღამის 3 ს. 50 წ.
- ფოტოში — დილის 5 ს. 50 წ.
- პლაკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მან.
- მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
- ხაშურიდან—ღამის 3 ს. 08 წ.
- შორაპნიდან საღამოს 6 საათ.
- სამტრედიიდან—სად. 8 ს. 34 წ.
- ფოტოში — ღამის 10 ს. 43 წ.
- პლაკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მან.

ქუთაისში:

- მ. № 9 სამგზავრო საღამოს— 10 ს. 30 წ.
- ქუთაისში მივა დილის — 7 ს 21 წ.
- პლაკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

ბჯორაში:

- მ. № 19 სამგზავრო დღის 3 ს. 30 წ.
- გორიდან საღამოს 6 საათ. 30 წ.
- ბორჯომში მივა საღამოს 9 ს. 27 წ.
- პლაკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

ბაკოში:

- მ. № 4 საფოსტო ღამის 11 ს. 10 წ.
- მ. № 8 სამგზავრო განჯამდელის 3 ს. 35 წ.
- მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაკომდე პლაკარტის ფასი ბაკომდე I კლ. 60 მ., II კ. 40 მ. III კ. 20 მ.

ყარსისაკენ—ერევანში:

- მ. № 4 საფოსტო დღის — 1 საათ. 40 წ.
- ამას გარდა კვირა უქმე დღეებში

მცხეთაში:

- მ. № 61 დილის — — — 7 საათ. 37 წ.
- მ. № 63 — — — — — დღის 3 ს.

გოღია თფილისში.

ფოტოში:

- მ. № 2 სასწრაფო დილის 9 საათ. 41 წ.
- ფოთიდან გამოვა საღამ. 11 ს.
- მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათ. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.

ქუთაისიდან:

- მ. № 12 დილის — — — — 8 ს. 15 წ.
- ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 ს. 33 წ.

ბორჯომიდან:

- მ. № 20 დილის — — — — 7 ს. 20 წ.
- ბორჯომიდან გამოვა ღამის 12 ს. 46 წ.

ბაკოდან:

- მ. № 3 საფოსტო დღის — — 4 ს. 30 წ.
- მ. № 5 სასწრაფო დილის — — — 7 ს.
- მ. № 7 სამგზავრო განჯიდან დილის 8 ს. 30 წ.
- მ. № 5 პლაკარტიანია; პლაკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.

ნახევანიდან და ყარსიდან.

- მ. № 3 საფოსტო დილის — 11 ს. 30 წ.
- ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

მცხეთიდან:

- მ. № 62 დილის — — — — 11 ს 10 წ.
- მ. № 64 საღამოს — — — — 7 ს. 20 წ.